



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 ოქტომბერი 2024



N 588/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#### რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, სს „რუსთავის აზოტის“ 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „რუსთავის აზოტის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404519794) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 4 ივლისს (წერილი N6737) წარმოდგენილი იქნა რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N351/ს; 10/07/2024) და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზმ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2024 წლის 28 მარტს სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სს „რუსთავის აზოტის“ მიერ, წარმოდგენილი იყო რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N31; ბრძანება N265/ს 23/06/2024).

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ-ს დერეფანი მოიცავს რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს (სოფ. ახალი სამგორი). დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს 220 კვ ძაბვის ქ/ს „რუსთავი-220“-ის დაკავშირებას სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს 110 კვ ძაბვის ქვესადგურებთან („ქ/ს-02“-თან და „ქ/ს-01“-თან), რისთვისაც მოეწყობა 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, ჯამური სიგრძით 6 490 მ. საპროექტო ეგხ-ს დერეფანი დაყოფილია ორ მონაკვეთად, სადაც პირველი მონაკვეთზე გათვალისწინებულია ორჯაჭვიანი ეგხ („ატზ-7“-„ატზ-8“) ტრასის სიგრძით 5 609 მ, ხოლო მეორე მონაკვეთზე ერთჯაჭვიანი ეგხ („ატზ-8ა“) ტრასის სიგრძით 881 მ.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია ეგხ-ს ტიპის და დერეფნის ალტერნატივები, ასევე არაქმედების ალტერნატივა. სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს დამატებითი სიმძლავრით მომარაგების მიზნით, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილ იქნა. გარემოსდაცვითი, მათ შორის

ბუნებრივ და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების კუთხით, ასევე ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ადგილმდებარეობის 3 ალტერნატიული ვარიანტიდან, უპირატესობა მიენიჭა ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების დერეფნის III ვარიანტს, ხოლო ეგხ-ს ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან უპირატესობა მიენიჭა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო დერეფანში დაგეგმილია 35 ანძის მოწყობა (I-მონაკვეთი 30, II-მონაკვეთი 5). საპროექტო 110 კვ ძაბვის ეგხ-ს დაცვის ზონად გათვალისწინებულია 20 მეტრი მანძილი განაპირა სადენებიდან, ეგხ-ს ორივე მხარეს. საპროექტო ტრასის სიგრძე იქნება 6490 მ, ხოლო სიგანე 50 მ (დაცვის ზონის ბუფერი). გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო საყრდენი ანძების ტექნიკური პარამეტრები, სქემატური ნახაზები და განთავსების ადგილის GPS კოორდინატები, მათ შორის I მონაკვეთის საპროექტო საყრდენების GPS კოორდინატებია: 1) X - 501807.8 Y-4602440.4; 2) X-501893.6 Y-4602456; 3) X-502198.6 Y-4602461.5; 4) X-502378.9 Y-4602379.6; 5) X-502639.4 Y-4602261.3; 6) X-502876.5 Y-4602153.7; 7) X-503164.1 Y-4601971.5; 8) X-503494 Y-4601842.2; 9) X-503653.2 Y-4601762.2; 10) X-503766.8 Y-4601699.9; 10) X-503757.3 Y-4601687.9; 11) X-503829.5 Y-4601619.3; 12) X-503804.4 Y-4601435.4; 13) X-503777 Y-4601234.3; 14) X-503755.7 Y-4601078.1; 15) X-503744.4 Y- 4600997.7; 16) X-503712.5 Y-4600763.8; 17) X-503666.1 Y-4600715.6; 18) X-503646.5 Y-4600613.9; 19) X-503827.2 Y-4600366.3; 20) X-504008.2 Y-4600118.2; 21) X-504173 Y-4599892.3; 22) X-504301 Y- 4599716.8; 23) X-504471.6 Y- 4599482.9; 24) X-504572.4 Y-4599370.7; 25) X-504722.9 Y-4599172.6; 26) X-504835.04 Y-4599025; 27) X-504790.1 Y-4598878.5; 28) X-504684.5 Y-4598812.4; 29) X-504671.4 Y-4598799.8. II მონაკვეთის: 1) X-504876.1 Y-4598911.7; 2) X-504974.7 Y-4598923.01; 3) X-505115.4 Y-4598727.7; 4) X- 505250.6 Y-4598540.02; 5) X-505235.8 Y-4598488.04.

ეგხ-ს საწყისი წერტილი მდებარეობს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ 220 კვ ძაბვის ქ/ს „რუსთავი-220“ ქვესადგურთან (ს/კ 81.13.01.168), რის შემდეგაც ეგხ-ს დერეფანი უკავშირდება სს „რუსთავის აზოტის“ კუთვნილ ქ/ს-02-ს (ს/კ 02.07.01.887) და მიემართება საბოლოო წერტილისკენ სს „რუსთავის აზოტის“ ქ/ს-01-თან (ს/კ 02.07.01.887). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ს დერეფანი რამდენიმე მონაკვეთში კვეთს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, კერძოდ: საყრდენი N1 (X-501808; Y-4602440) და N2-ს შორის ( X-501894; Y-4602460) ეგხ კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ „რუსთავი-2ბ“-ს 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს (ს/კ: 02.00.951), N7 (X-503164; Y-4601970) და N8 (X-503494; Y-4601840) საყრდენს შორის ეგხ კვეთს მდ. აჯისუს და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“ საკუთრებაში არსებულ წყალსაცავს (ს/კ 81.13.01.180). N10 (X-503757; Y-4601690) და N10 (X-503765; Y-4601400) შორის ეგხ კვეთს შპს „რუსთავი ფოლადის“ საკუთრებაში არსებულ ეგხ-ს (ს/კ 02.00.022), სადაც 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების გადაკვეთის სირთულეებიდან გამომდინარე უსაფრთხოების გათვალისწინებით, გადაკვეთებზე გათვალისწინებულია ორმაგი გამაგრების გირლანდების მოწყობა. N14 (X- 503755.7 Y-4601078.1) და N15 (X-503744.4 Y-4600997.7) საყრდენს შორის გამავალი ეგხ კვეთს ახალი სამგორის შემოვლით გზას, ხოლო N15 (X-503744.4 Y-4600997.7) და N16 (X-503712.5 Y-4600763.8) საყრდენს შორის გამავალი ეგხ-ს ტრასა 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს „ბოჭკო 2“-ს (ს/კ: 02.00.949). N26 და N27 საყრდენს შორის ეგხ კვეთს გრუნტის გზას და სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს (ს/კ: 8.00.896 და ს/კ: 81.00.895 ატბ-2). პირველი საპროექტო დერეფანი სრულდება სს „რუსთავის აზოტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.07.01.887) სადაც განთავსდება N29 ანძა (X-504668; Y-4598820) და ელექტროგადამცემი ხაზი დაერთდება ქვესადგურ 02-ზე. ქ/ს-01-თან დაკავშირების მიზნით, საპროექტო ეგხ-ს მეორე მონაკვეთი ქ/ს-01-დან აღმოსავლეთის მიმართულებით გადადის საავტომობილო გზის გადაკვეთით სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.13.23.224), სადაც განთავსდება N2 და N3 საპროექტო ანძები. N4 ანძის განთავსება დაგეგმილია კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ

81.13.23.398), საიდანაც კვეთს საავტომობილო გზას და უკავშირდება სს „რუსთავის აზოტის“ საკუთრებაში არსებული ნაკვეთის საზღვრიდან დაახლოებით 8 მეტრის დაშორებით საპროექტო N5 ანძას და საბოლოოდ ელექტროგადამცემი ხაზი დაუერთდება რუსთავის აზოტის ქვესადგურ 01-ს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო დერეფანი კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ 9 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოყენების პირობებზე და გავლენის ზონაში მოქცეული კერძო ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმების ამსახველი ინფორმაცია წარმოდგენილია გზმ-ის ანგარიშში. უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ქ. რუსთავი) საპროექტო ეგხ-ის დერეფნიდან დაშორებულია 62-80 მეტრით. ეგხ-ს მთლიან დერეფანში გასხვისების ზონის უშუალო სიახლოვეს რაიმე შენობა-ნაგებობები არ არის განლაგებული და პროექტის განხორციელება ფიზიკური განსახლების რისკებთან არ არის დაკავშირებული. როგორც აღინიშნა უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია მდ. აჯისუ და მასზე მოწყობილი ხელოვნური წყალსაცავი, რომელიც წარმოადგენს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნერის“ საკუთრებაში არსებულ წყალსაცავს (ს/კ 81.13.01.180) და კვეთს N7 (X-503164; Y-4601970) და N8 (X-503494; Y-4601840) საყრდენს შორის გამავალი ეგხ. shp ფაილების ელექტრონული გადამოწმებით, მდ. მტკვრის გაედინება პირველი მონაკვეთის საწყისი წერტილიდან დაახლოებით 1300 მეტრში, ხოლო 1200 მეტრში მიწისზედა მაგისტრალური ღია არხი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 110 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო პირველი მონაკვეთის ტრასაზე გათვალისწინებულია ახალი უნიფიცირებული 30 ერთეული 110 კვ ორჯაჭვიანი (1ც-1Y110-4; 3ც-1Y110-4+5; 1ც-1Y110-4+10; 2ც-1Y110-4+15; 1ც-YC110-6; 1ც-YC110-8; 1ც-YC110-8+14; 2ც-Y110-2B-2TP; 5ც-2AYT-60T-6TP; 1ც-2AYT-60T-6TP (- 5,5M); 1ც-AYT-30T-8.5; 2ც-1Y110-5; 3ც-Y220-2+14-2TP; 4ც-1Π110-6; 2ც-1Π110-6-8.5), ხოლო მეორე მონაკვეთზე 5 ერთეული ერთჯაჭვიანი (2ც- Y110-3; 2ც-Y110-3+5; 1ც-1Π110-1-3.2) ინდივიდუალური კონსტრუქციის მქონე კუთხურ-ანკერული და შუალედური საყრდენების მონტაჟი. ელექტროენერჯის გატარება მოხდება AC-185/24 მარკის ფოლად-ალუმინის სადენის გამოყენებით, ხოლო 110 კვ ძაბვის ეგხ „ატზ-8ა“-ს საპროექტო მონაკვეთისთვის შერჩეულია AC-150/19 მარკის ფოლად-ალუმინის სადენი. AC-185/24 და AC-150/19 მარკის სადენის დასამაგრებლად ანკერულ საყრდენებზე გამოყენებული იქნება ერთმაგი დამჭიმი გირლიანდა ΠC120-Б ტიპის 9 ცალი იზოლატორით, ხოლო AC-185/24 და AC-150/19 მარკის სადენის დასამაგრებლად შუალედურ საყრდენებზე ერთმაგი დამჭერი გირლიანდა ΠC70-Е ტიპის 9 ცალი იზოლატორით.

საქმიანობისთვის დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ტიპიური სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. მშენებლობისთვის საჭირო მასალების დასაწყობება მოხდება საპროექტო ეგხ-ს მიმდებარედ სპეციალურად გამოყოფილ 6 766მ<sup>2</sup> ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სასაწყობო ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-504772 Y-458812; X-504868 Y-458880; X-504842 Y-458923; X-504738 Y-4598861.), რომელიც წარმოადგენს სს „რუსთავის აზოტი“-ს საკუთრებას და უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვრიდან დაშორებულია 2 კმ-ზე მეტი მანძილით.

სამშენებლო სამუშაოები ბეტონის კვანძის და სხვა დამხმარე საამქროების მოწყობას არ ითვალისწინებს. ანძების საძირკვლები და კონსტრუქციები შემოტანილი იქნება მზა სახით, ხოლო ანძების განთავსების დროს საჭირო მცირე რაოდენობის ბეტონის ნარევი ბეტონ-მზიდი ავტომანქანებით შემოტანილი იქნება სხვა ბეტონის საწარმოებიდან. სამშენებლო სამუშაოების ვადად განსაზღვრულია 12 თვე. სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, წელიწადში 260 დღე. პროექტის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე დასაქმდება 10-15 ადამიანი.

სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს საყრდენი ანძების მოწყობის ტერიტორიის მცენარეული საფარისგან გასუფთავებას, გარკვეულ მონაკვეთებში საყრდენი ანძების განთავსების ადგილამდე

მისასვლელი გზების მოწყობას, ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობებას, საპროექტო საყრდენი ანძების მონტაჟისთვის ფუნდამენტების მოწყობას (გრუნტის სამუშაოები), საყრდენების მასალების ტრანსპორტირებას, მშენებლობისათვის საჭირო მასალების დასაწყობებას, რკინაბეტონის კონსტრუქციის აწყობას, საძირკვლების მოწყობას, საყრდენების დამონტაჟებას, სადენების გაჭიმვას და სარეკულტივაციო სამუშაოებს. სამშენებლო პროცესში ჩართული იქნება 2 ავტოთვიომცლელი; 1 ექსკავატორი; 1 ამწე კალათა და 1 ბეტონმზიდი.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საძირკვლის მოწყობასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო (ქვაბულის ამოღება, საძირკვლის დაყენება, უკუყრილი და ა.შ.) წარმოებული იქნება სამშენებლო ნორმების დაცვის მიხედვით. საძირკვლების დაყენება განსაზღვრულია მშრალ ქვაბულში. ყოველი საძირკვლის ქვეშ მომზადდება 100 მმ-იანი ღორღის ფენა. საძირკვლის თხრილები გაიჭრება მექანიკური საშუალებებით და ამოღებულ თხრილში ბეტონის ფილები ჩალაგდება, რის შემდეგაც ანძის თითოეული საყრდენი წაკვეთილი პირამიდის ფორმის რკინაბეტონის კონსტრუქციაზე დამონტაჟდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სამშენებლო მასალების და მუშახელის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება ასფალტირებული და გრუნტის საფარიანი საავტომობილო გზები. ეგხ-ს კონსტრუქციების და სადენების ტრანსპორტირება განხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რუსთავი-ჯანდარას (შ-157) საავტომობილო გზით, ხოლო შემდგომ გამოყენებული იქნება ადგილობრივი მნიშვნელობის და დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე გამავალი გრუნტის გზები. ძირითადი სატრანსპორტო ოპერაციები დაკავშირებული იქნება საყრდენი ანძების კონსტრუქციების მოსაწყობი მასალების ტრანსპორტირებასთან. თითოეული ანძის სამშენებლო მოედანზე სამუშაოების ვადებად განსაზღვრულია 8-10 დღე. დღის განმავლობაში გათვალისწინებულია 1-2 სატრანსპორტო ოპერაცია. გარდა ამისა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და პირობებზე ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ, მოხდება მხოლოდ ტექნიკურად გამართული სატრანსპორტო საშუალებებად გამოყენება; შეიზღუდება მოძრაობის სიჩქარეები, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს გადაადგილებისას. ექსპლუატაციის ეტაპზე ტრანსპორტის მოძრაობის მნიშვნელოვანი ინტენსივობა მოსალოდნელი არ არის, ავტოტრანსპორტის გამოყენება საჭირო იქნება მხოლოდ სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში, ეგხ-ს ტრასის ორივე მონაკვეთის უმეტესი ანძების საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა შესაძლებელია არსებული მისასვლელი გზების გამოყენებით, თუმცა საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გარკვეულ მონაკვეთზე (მაგ: პირველი მონაკვეთის N4,6,7,8,9,10,14,16,17 და 18 ანძებთან) საჭირო იქნება მისასვლელი გზების მოწყობა. დროებითი მისასვლელი გზების საერთო ჯამური სიგრძე შეადგენს 600 მეტრს, სიგანე კი 4.5 მეტრს. დროებითი გზები, გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება სათანადო დრენაჟით. საპროექტო ეგხ-ს მეორე მონაკვეთში დროებითი გზების მოწყობა საჭირო არ არის, ვინაიდან ტრასის მიმდებარედ წარმოდგენილია საავტომობილო გზა, რომლის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია მისი პროექტის მიზნებისთვის გამოყენება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარდება გრუნტის საექსკავაციო სამუშაოები, საერთო ჯამში იგეგმება დაახლოებით 700-1000 მ<sup>3</sup> გრუნტის ამოღება, რომელიც დროებით დასაწყობდება სამუშაო მოედნის პერიმეტრზე შესაბამისი წესების დაცვით. ამოღებული გრუნტის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით, ხოლო ნამეტო გრუნტის განთავსება მოხდება ქ. რუსთავის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე, შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

დროებითი მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოები ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერი (ჰუმუსოვანი) ფენის მოხსნა/დასაწყობებას, რომელიც მოიხსნება საპროექტო დერეფნის გასუფთავებამდე და დასაწყობდება ანძების მოწყობის ადგილის მიმდებარედ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე ისე, რომ დასაწყობებული ნიადაგის სიმაღლე არ აღემატებოდეს 2-2.5 მეტრს, ხოლო ფერდის დახრილობა 45°-ს. ნიადაგის ხარისხზე და სტაბილურობაზე უარყოფითი ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია ანძების საძირკვლების მოწყობის მიზნით შესასრულებელი მიწის სამუშაოებით. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა იქნება დაახლოებით 550 მ<sup>3</sup>, მათ შორის: 280 მ<sup>3</sup> საპროექტო ანძების განთავსების ადგილებზე, ხოლო 270 მ<sup>3</sup> დროებითი მისასვლელი გზების დერეფნებში. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრულად ათვისებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიების რეკულტივაციისთვის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, დასაწყობება და შემდგომ სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ს სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში საჭირო იქნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის გამოყენება (175.5 მ<sup>3</sup>/წელი), რომელიც სამშენებლო მოედანზე შემოტანილი იქნება წყლის რეზერვუარის მეშვეობით და ბუტილიზირებული სახით. პროექტის მიხედვით ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. რაც შეეხება სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვას, მშენებლობის ეტაპზე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების (166.7 მ<sup>3</sup>/წელი) შესაგროვებლად სასაწყობო ტერიტორიაზე დაგეგმილია 5 მ<sup>3</sup> ტევადობის ჰერმეტიკული სეპტიკური რეზერვუარის მოწყობა, ხოლო ანძების სამშენებლო მოედნებზე განთავსდება ბიოტუალეტები, რომელთა დაცლა მოხდება პერიოდულად შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

სამუშაოების წარმოების პროცესში საწვავის მარაგის შექმნის მიზნით რეზერვუარების მოწყობა არ იგეგმება, ასევე, საყრდენების საძირკვლის მოწყობის დროს არ არის გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების გამოყენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე, სამუშაოების სწორი მართვის შემთხვევაში გრუნტის წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების სტაციონალური წყაროების გამოყენება არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან სამშენებლო მასალები საპროექტო ტერიტორიაზე მზა სახით შემოვა. მშენებლობის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მთავარი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო ტექნიკის მრავლების მუშაობისას ადგილი ექნება გარკვეული რაოდენობით წვის პროდუქტების (აზოტის დიოქსიდი; აზოტის ოქსიდი; ჰვარტლი; გოგირდის დიოქსიდი; ნახშირბადის ოქსიდი; ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია) ემისიებს, ხოლო გრუნტიან გზებზე გადაადგილებისას არაორგანული მტვრის გავრცელებას. ეგზ-ს ექსპლუატაციის ეტაპზე, კერძოდ სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების პროცესში, მავნე ნივთიერებათა ემისიების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაცული იქნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“ დადგენილი მანძილები, ხოლო ფიზიკური განსახლების ან სხვა სახის პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროება არ დგას. შესაბამისად, საპროექტო ეგზ-ს დერეფანში

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებიდან დაცილების მანძილების გათვალისწინებით, ასევე არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების კუთხით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასაწყობო ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების მოწყობა დაგეგმილი არ არის და სასაწყობო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ ზონაზე (2 კმ) ხმაურით მოსალოდნელი ზემოქმედების რისკი მინიმალურია. ხმაურის გავრცელება დაკავშირებული იქნება ეგხ-ს საყრდენი ანძების სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობასთან. საპროექტო ეგხ-ს დერეფანი მხოლოდ რამდენიმე წერტილში უახლოვდება საცხოვრებელ ზონას, კერძოდ: პირველი მონაკვეთის N12 და N13 საყრდენ ანძებს შორის მოქცეული მონაკვეთი უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 75 მეტრით, ხოლო მეორე მონაკვეთის N15 და N16 ანძებს შორის მოქცეული მონაკვეთი 62 მეტრით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ყველაზე უარესი სცენარის მიხედვით შესრულებული გაანგარიშების თანახმად (როცა ყველა სამშენებლო ტექნიკა - ავტოთვითმცლელი; ამწე-მექანიზმი; ბეტონშემრევი მანქანა; ექსკავატორი) ხმაურის მოსალოდნელი ჯამური დონე 76 მეტრში შეადგენს 59 დბა-ს, ხოლო 62 მეტრში 60 დბა-ს, თუმცა ძირითადი ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები იქნება დროებითი და მოკლევადიანი, განხორციელდება ანძების მშენებლობის წერტილებში მხოლოდ დღის საათებში და ერთდროულად მომუშავე ხმაურწარმომქმნელი წყაროების რაოდენობა ოთხი ერთეულიდან შემცირდება ორ ერთეულამდე, ხოლო ღამის საათებში აიკრძალება ხმაურწარმომქმნელი სამუშაოები. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზების ოპერირების ეტაპზე ხმაურის გამომწვევი შეიძლება იყოს მცირე მასშტაბის მქონე, ეგხ-ს პერიოდული ტექნიკური მომსახურების სამუშაოები.

საპროექტო დერეფნის ძირითადი ნაწილი მოიცავს ბალახეული საფარისგან თავისუფალ ტერიტორიას, თუმცა გარკვეულ მონაკვეთებში ეგხ-ს ტრასა გადის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი, შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიებს რაიმე დაცვითი ღირებულება არ გააჩნიათ.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, 1-12 ანძის განთავსებისთვის გათვალისწინებულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ წარმოდგენილია სტეპის მცენარეულობა და სხვა ბალახოვნები, მაგ: გლერტა (*Cynodon dactylon*), კაპარი (*Capparis spinosa*). გაფანტულად იზრდებიან ბუჩქები - ძეძვი (*Paliurus spina-christi*), პალამის შავჯაგა (*Rhamnus pallasii*), კავკასიური გლერძი (*Astragalus caucasicus*), ენძელა (*Colchicum trigynum*), ჩიტისთავა (*Gagea chlorantha*). ხელოვნური წყალსაცავის ნაპირებზე განვითარებულია მცენარეულობა ლელიანების (*Phragmites australis*) და ლაქაშიან-ლელიანების (*Phragmites australis+Typha angustifolia*) სახით. დანარჩენი ანძები ექცევიან სასოფლო სამეურნეო მიწებზე, რომლის ნაწილიც გამოიყენება სახნავ-სათესად.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო დერეფანში სავლელე კვლევისას არ დაფიქსირებულა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ძუძუმწოვრები ან მათი სასიცოცხლო ნიშნები, თუმცა შესაძლოა გამოვლინდეს ისეთი სახეობები, როგორებიცაა: ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*), ამიერკავკასიური ზაზუნა (*Mesocricetus brandti*) და მცირეაზიური მექვიშია (*Meriones tristrami*), წავი (*Lutra lutra*). მტაცებელი ძუძუმწოვრებიდან: მგელი (*Canis lupus*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), კვერნა (*Martes martes*), ტყის კატა (*Felis sylvestris*), დედოფალა (*Mustela nivalis*), კლდის კვერნა (*Martes foina*), მაჩვი (*Meles meles*). მღრნელებიდან: მცირეაზიური მემინდვრია (*Chionomys roberti*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*), მცირე თაგვი (*Sylvaemus uralensis*), სტეპის თაგვი (*Apodemus fulvipectus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), რუხი

ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) და ა.შ. მწერიჭამიებიდან: ზღარბი (*Erinaceus concolor*), მცირე თხუნელა (*Talpa levantis*), გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura gueldenstaedti*), თეთრმუცელა კბილთეთრა (*Crocidura leucodon*), ასევე კურდღელი (*Lepus europeus*) და სხვ. ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და სავსე კვლევის მიხედვით, საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა შემდეგი სახეობები: დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*), ყურწვეტა მდამიობი (*Myotis blythii*), წითური მეღამურა (*Nyctalus noctula*) და სხვ. თუმცა ეგზის საპროექტო დერეფანში ღამურებისთვის ხელსაყრელი ფულუროიანი ხეები, მიტოვებული შენობები, მიწისქვეშა სამალავები, მღვიმეები წარმოდგენილი არ არის.

საპროექტო ტერიტორიაზე არ გადის ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტები, საპროექტო ტერიტორია არ არის მოქცეული საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების ფარგლებში - SPA (Special protection areas). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ორნითოლოგიური კვლევა განხორციელდა 2024 წლის გაზაფხულზე. ჩატარებული სავსე კვლევის შედეგად გამოვლენილი 25-მდე ფრინველის სახეობიდან, არცერთი წითელი ნუსხის სახეობა არ დაფიქსირებულა. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზაზე, საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ფლორისა და ფაუნის სახეობებზე მოსალოდნელია გარკვეული სახის ზემოქმედება, რაზეც გატარდება გზშ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ეგზ-ს საპროექტო დერეფნის განლაგების არეალში რაიმე ინფრასტრუქტურული ობიექტის, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს. თუმცა, საპროექტო დერეფანში წარმოდგენილია რამდენიმე მოქმედი ელექტროგადამცემი ხაზი, რის გამოც ექსპლუატაციის ფაზაზე კუმულაციური ზემოქმედების რისკებიდან საპროექტო და არსებული ეგზ-ების კომპლექსური ზეგავლენა მოსალოდნელია ფრინველებზე და ხელფრთიანებზე ზემოქმედების კუთხით. კუმულაციური ზემოქმედების შემცირების მიზნით, გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ: მოხდება სადენების მარკირება და ეგზ-ს სადენები ერთმანეთისაგან დაცილებული იქნება ფრინველებისათვის უსაფრთხო მანძილებით.

საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვარის ჭალის ზედა II ტერასის ზედაპირს, სწორი ზედაპირით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევი უბანი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საყრდენი ანძების განთავსების ადგილებზე გავრცელებული გრუნტების სიმძლავრეების და ფუძე გრუნტების მზიდუნარიანობის დადგენის მიზნით, ეგზ-ს პირველ უბანზე გაყვანილ იქნა 30 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 225 მეტრი, ხოლო მე-2 უბანზე 5 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 40 მეტრი. გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, საპროექტო ეგზ-ს დერეფნის I მონაკვეთის სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება III (რთული), ხოლო II მონაკვეთი I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. საკვლევი უბნის პირველ მონაკვეთზე გამოიყო სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი. სგე I-მყარი კონსისტენციის თიხნარი გრუნტი; სგე II-კენჭნარი გრუნტი; სგე III-გამოფიტული და სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები, ხოლო მეორე მონაკვეთზე გამოიყო I საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი სგე I-კენჭნარი გრუნტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საყრდენების დაფუძნების და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საშიში გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვ.) გავრცელების კვალი არ ფიქსირდება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის მისაღები. ანგარიშის თანახმად ეგზ-ს ექსპლუატაციის პირველი სამი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება საშიში გეოდინამიკური პროცესების მონიტორინგი წელიწადში ორჯერ და საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა, რომლის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო (სადებადების ტარა, ზეთის ფილტრები;

ჰიდრავლიკური ზეთები და სხვა), ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენი, შეგროვდება მათი სახეობისა და მახასიათებლების მიხედვით, რისთვისაც გამოყენებული იქნება შესაბამისი მოცულობისა და მასალის კონტეინერები და დროებით დასაწყობდება სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე/ფართში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვა განხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციების მიერ, ხოლო არასახიფათო ნარჩენები მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გატანილ იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ეგზ-ს ბუფერულ ზონაში არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები და ის არ ექცევა ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ასევე არ ფიქსირდება არქეოლოგიური ობიექტები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყდება სამუშაოები და ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების მერიებში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 14 აგვისტოს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის ადმინისტრაციული ერთეულის და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს „რუსთავის აზოტის“, შპს „გამა კონსალტინგის“, გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. საჯარო განხილვებზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:



1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, სს „რუსთავის აზოტის“ 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. სს „რუსთავის აზოტმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე, ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
4. სს „რუსთავის აზოტმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც მათ შორის გათვალისწინებული იქნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მდ. აჯისუს კალაპოტში არსებულ ხელოვნურ წყალსაცავზე, ასევე ელექტროგადამცემი ხაზის N10 და N16 ანძებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. მონიტორინგის შედეგების მიხედვით საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
5. სს „რუსთავის აზოტმა“ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსითა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
6. სს „რუსთავის აზოტმა“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;
7. სს „რუსთავის აზოტმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
8. სს „რუსთავის აზოტმა“ მშენებლობის დაწყებისა და დასრულების, ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
9. სს „რუსთავის აზოტმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
10. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
11. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/588-21-4-202410161741>

